

მიღე პორტუგალიური ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტის დიპლომი საინფორმაციო ტექნოლოგიებში



ბრაგანჩას პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან (Polytechnic Institute of Braganca, Portugal) თანამშრომლობა BTU-ს ბიზნესის ადმინისტრირების საინფორმაციო ტექნოლოგიების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის ერთდროულად ორი დიპლომის მოპოვების საშუალებას იძლევა და პორტუგალიაში ბაკალავრიატის ბოლო სასწავლო წლის გატარებას გულისხმობს.

ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტი (Polytechnic Institute of Braganca, Portugal) დაარსდა 1983 წელს და ის რეგიონის ერთ-ერთი ყველაზე რეიტინგული და მოწინავე ტექნიკური სასწავლებელია. 2018 წლის რეიტინგების მიხედვით, ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტი ერთ-ერთი ყველაზე მაღალრეიტინგული პორტუგალიური სასწავლებელი იყო SCImago სასწავლებლების რეიტინგში, ხოლო შანხაის გლობალურ რეიტინგში 33-ე ადგილს იკავებდა. ბრაგანჩას პოლიტექნიკურ ინსტიტუტს აქვს 100-ზე მეტი სასწავლო პროგრამა, მათ შორის ბიზნესისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების მიმართულებით. ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტში 8000 სტუდენტი სწავლობს, საიდანაც 30% საერთაშორისო სტუდენტია. გაცვლით პროგრამებში ყოველწლიურად 900 სტუდენტი იღებს მონაწილეობას.



### პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობა

პროგრამაში მონაწილეობის წინაპირობაა ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში სტუდენტის აქტიური სტატუსი, ინგლისური ენის ფლობა არანაკლებ B2 დონეზე, წინა სემესტრებში ბტუ-ს შესაბამისი პროგრამით არანაკლებ 180 კრედიტის (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსში კრედიტის) მიღება. პარტნიორ დაწესებულებაში 1 ECTS= 27 სთ. სტუდენტი, რომელიც ირჩევს მოდულს, წინა სემესტრებში სწავლობს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

**გაცვლითი პროგრამის განხორციელების ადგილი:**

პორტუგალია, ბრაგანჩას პოლიტექნიკური ინსტიტუტი (Polytechnic Institute of Braganca, Portugal)

**სწავლების ენა:**

ინგლისური;

**სწავლების ხანგრძლივობა:**

1 წელი;

**პროგრამის საფასური:**

2250 ლარი, დამატებით 1200\* ევრო მეოთხე წელი.

*\*შესაძლებელია დაკორექტირდეს პარტნიორი დაწესებულების მოთხოვნის შესაბამისად*

დაინტერესებულმა პირებმა დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ: [info@btu.edu.ge](mailto:info@btu.edu.ge)

